



საქართველოს გარეგან ურთიერთობების სამინისტრო

ყოველთვიური ონლაინ გამოცემა

ინფორმაცი

აპრილი/2026

2

ქართული
ოვინის
ქსენოფილი

რა პრინციპებს უნდა აკმაყოფილებდეს კომპანია სანთაშორისო გამოყენებში მონაწილეობის მიხედვად

5

3

日本
ქართული
ფვინო
იპრონიზი

6

საქართველოს
ტყეები

7

პლასტიკის
კვლევი
გარემოება

უხილავი
საფრთხე,
როგორც
იზრდება



4

საქართველოს ველური ვაზი

9

ქურციკი/ჭაირანი

8

ნუ გზებები ბრტაონიპირი!

10

ბიომრავალფეროვნება

გაგაცნობთ საქართველოს ფაუნის
ოთხ წარმომადგენელს

ქართული ღვინის ექსპორტი

2026 წლის პირველ
კვარტალში ქართული
ღვინისა და ალკოჰოლიანი
სასმელების ექსპორტი
ზრდის ტენდენციას
ფიქსირდება

მიმდინარე წლის პირველ კვარტალში საქართველოდან მსოფლიოს 51 ქვეყანაში ექსპორტირებულია 17,3 მლნ ლიტრი ღვინო, რომლის ღირებულება 53,2 მლნ აშშ დოლარს შეადგენს. გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ექსპორტირებული ღვინის რაოდენობა 5%-ით, ხოლო ღირებულება 7%-ით გაიზარდა.

ქართული ღვინის სტრატეგიული ბაზრებიდან პირველ კვარტალში განსაკუთრებული ზრდა გერმანიაში დაფიქსირდა, სადაც ექსპორტმა 375 ათას ლიტრს მიაღწია, რაც წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 32%-ით მეტია. 9%-ით გაიზარდა ექსპორტი დიდ ბრიტანეთში და 86 ათას ლიტრს მიაღწია. ასევე, 4%-იანი ზრდა ფიქსირდება ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში, სადაც ექსპორტირებულია 831 ათასამდე ლიტრი ღვინო.

პირველ კვარტალში, სპირტიანი სასმელების ექსპორტი 38 ქვეყანაში განხორციელდა. ჯამში ექსპორტირებულია 7,6 მლნ ლიტრი, 56,6 მლნ აშშ დოლარის ღირებულების პროდუქცია. ექსპორტიდან მიღებული შემოსავალი 3%-ით გაიზარდა.

日本

იაპონია

იაპონიის დღეღამაჲ
 ტოკიოში გამართულ
 ქართული ღვინის
 წარდგენას ცოტ
 სომელაჲე ტაჲუ
 იჲტურო უძღჲვობღ.
 ქართულ ქარჲისჲერ
 ღვინოჲზე ტაჲუ
 იჲტურომ სჲეციალურ
 სემინარზე ისაჲბრა,
 ხოლო ღვინოჲის
 დეჲუსტაცია ე.წ.
 „Walk Around
 Tasting“-ის
 ფორმატში
 გაიმართა



ქართული ღვინო იაპონიაში



ღვინის ეროვნული სააგენტოს ფინანსური მხარდაჭერით და სააგენტოს კონტრაქტორი მარკეტინგული კომპანიის „Red Bridge“ ორგანიზებით, იაპონიის ქალაქებში - საპორო, სენდაი და ტოკიო, 7-13 აპრილის პერიოდში ქართული ღვინის დეგუსტაციები და სემინარები, ე.წ. „Road Show“ გაიმართა.

მსგავსი ღონისძიებები ხელს უწყობს ქართული ღვინის პოპულარიზაციასა და ცნობადობის გაზრდას, ამასთან ქართული ღვინის მწარმოებელ კომპანიებს უნიკალურ შესაძლებლობას აძლევს, ერთ სივრცეში შეხვდნენ პოტენციურ პარტნიორებსა და ღვინის პროფესიონალებს.

იაპონია ქართული ღვინის ერთ-ერთ სტრატეგიულ საექსპორტო ბაზარს წარმოადგენს. მარკეტინგულ კომპანიასთან „Red Bridge“ ღვინის ეროვნული სააგენტო 2017 წლიდან თანამშრომლობს. მისი საქმიანობა იაპონიის სტრატეგიულ ბაზარზე ქართული ღვინის სხვადასხვა მარკეტინგულ ღონისძიებას მოიცავს. აღნიშნული ღონისძიებების მიზანი იაპონიის ბაზარზე ქართული ღვინის ცნობადობის და, შესაბამისად, მოთხოვნის ზრდის ხელშეწყობაა. იაპონიის ბაზარი გამოირჩევა მაღალი ხარისხის პროდუქციისადმი განსაკუთრებული მოთხოვნითა და ავთენტური, განსხვავებული გემოებისადმი მზარდი ინტერესით. სწორედ ამ კონტექსტში ქართული ღვინო, თავისი მრავალფეროვანი გემოებითა და ტრადიციული წარმოების მეთოდებით, მნიშვნელოვან კონკურენტულ უპირატესობას იძენს.



საქართველოს ველური ჯაზი

(*Vitis vinifera ssp sylvestris Gmel.*)

კრიკინა - ქართლი, კახეთი, იმერეთი
 უსურვაზი - ქართლი, კახეთი
 ბაბილო - ქართლი, მთიულეთი
 ბრძღვამლი - ქართლი
 ბურღლუმი - საინფილო, კახეთი
 კირკანა - ფშავი, ქიზიყი
 ჭანჭყაბო - ქიზიყი
 ბრძღვამლი - იმერეთი
 ბურხნი - იმერეთი
 ძღვამალი - რაჭა, ლეჩხუმი
 დათვიყურქანა - რაჭა
 მორცხულა - გური
 ჩიტიჩი ყურქანი - სამეგრელო
 პანტა ყურქანი - აჭარა



ველური ჯაზის მნიშვნელობა

ველური ჯაზი *Vitis vinifera sylvestris Gmel.* არის საქართველოს ფლორის ტიპური მცენარე და წარსულში ფართოდ იყო გავრცელებული ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე.

ის წარმოადგენს ევრო-აზიური ველური ჯაზის ზოგადი შემადგენელი ნაწილს და აქვს მნიშვნელოვანი ლეგირთა, როგორც:

- ჯაზის დომესტიკაციის საწყისი სამხრეთ კავკასიაში 8000 წლის წინ და შესაძლო გასაღები ამ დომესტიკაციის პროცესის ასახვად;
- ღვინის ობიექტს შეტანილს საქართველოს წითელ ღვინეში;
- საინტერესო მცენარეს კლიმატის გლობალური ცვლილებებისა და მანქანა-დაზარაობა გამძლეობის მქონე გენების ძიების მიმართულებით - ანუ საფარული სახეობები - საწყის მასალას;
- მსოფლიო მევენახეთა მზარდი ინტერესის ქვეშ მყოფ მცენარეს ამჟამად.

ნ. ჯაზი კულტურული ჯაზის წინაპრად ველური ჯაზი, ხოლო მისი წარმოშობის არეადად სამხრეთ კავკასიას, მათ შორის საქართველოს, მიიჩნევენ.

ჯაზის ქართული გენოფონდი - ადგილობრივი და ახალგაყოფიერი ჯიშები, მათი გენეტიკური ბიომარკერული განსაზღვრა, ველური და გავლენიერი ჯაზის ფორმები - ის გენეტიკური რესურსებია, რომელიც ქმნის საქართველოს მევენახეობა-მეღვინეობის საფუძველს.



ველური ჯაზის მნიშვნელობა და ღვინე

თანამედროვე ეტაპზე, ევროპაში ველური ჯაზის *Vitis vinifera sylvestris Gmel.* შესწავლა აქტიურად მიმდინარეობს: მისი არსებობა უკავშირდება ევრო-აზიური ჯაზის (*Vitis vinifera L.*) გავლენიერებას და ადგილობრივი ჯიშების წარმოშობას, განსაკუთრებით საქართველოს მსგავს ქვეყნებში. იგი ფართოდ არის ჩართული ჯაზის გენეზისის საკვლევის კვლევაში.

აღინშნულია და გამოდინარე, ველური ჯაზის აღწერას, გამოკვლევის და ღვინის დღის მნიშვნელობა ენიჭება. საქართველოს კანონი „ჯაზისა და ღვინის შესახებ“ (1998, 2007) ხაზს უსვამს საქართველოს ველური ჯაზის მნიშვნელობას და მას ჯაზის ქართული ჯიშებთან ერთად ეროვნულ სიმდიდრედ მიიჩნევს, რომელსაც იცავს სახელმწიფო.



როგორ ამოვიცნოთ ველური ჯაზი?



ყვავილი:
 მამრობითი და მდედრობითი ტიპის სხვადასხვა მცენარეები



გავრცელება:
 მდინარის პირას, ხევებსა და ტყეებში



მიწვანი:
 პატარა და თხელი (არა კუმსი)
მარცხალი:
 შავი და სფერული



წიხა:
 მცირე ზომის და მოკლე ნისკარით

რა პრინციპებს უნდა აკმაყოფილებდეს კომპანია საერთაშორისო გამოფენაზე მონაწილეობის მისაღებად


საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინიციატივით სოფლის განვითარების სააგენტო მხარს უჭერს ადგილობრივ აგროსასურსათო პროდუქციის მწარმოებლებს ბაზრების დივერსიფიკაციისა და ქართული ხარისხიანი პროდუქციის ცნობადობის ზრდის მიმართულებით



სოფლის განვითარების სააგენტოს მხარდაჭერით, გამოფენაზე მონაწილეობის მისაღებად კომპანია უნდა აკმაყოფილებდეს რამდენიმე მნიშვნელოვან მოთხოვნას:

- უმთავრესი პირობაა კომპანია იყოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული. აუცილებელია, რომ არ ჰქონდეს საგადასახადო დავალიანება, არ უნდა ჰქონდეს სააგენტოსთან მიმდინარე სასამართლო, სააღსრულებო და სხვა სამართლებრივი წარმოება /დავა;
- კომპანიის საქმიანობა უნდა უკავშირდებოდეს სოფლის მეურნეობას ან აგროსასურსათო სექტორს და წარმოებული პროდუქცია უნდა შეესაბამებოდეს კონკრეტული საერთაშორისო გამოფენის შინაარსს. ეს შეიძლება იყოს როგორც პირველადი პროდუქცია, ასევე გადამამუშავებული პროდუქტი მაგალითად, ღვინო, თაფლი, და სხვა;
- კომპანია ფასდება სანარმოო გასული კალენდარული წლის წლიური ბრუნვის მიხედვით, მინიჭებული შესაბამისი ქულებით;
- განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ხარისხისა და სურსათის უვნებლობის სტანდარტებს. დადგენილი პირობით კომპანიას უნდა ჰქონდეს სისტემების/სტანდარტების სერტიფიკატი ან/და სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ გაცემული - შესაბამისობის შეფასების სერტიფიკატი;
- სააგენტო აფასებს კომპანიის სანარმოო შესაძლებლობებსაც. კომპანიას სააგენტოში განაცხადის წარმოდგენამდე ბოლო 3 წლის განმავლობაში უნდა ჰქონდეს გამოფენის შინაარსის შესაბამისი პროდუქციის ექსპორტი განხორციელებული;
- მონაწილეობის მისაღებად ტარდება შესარჩევი კონკურსი. რეგისტრაცია ხორციელდება ვებგვერდის საშუალებით, სადაც უნდა შეივსოს ელექტრონული განაცხადი და აიტვირთოს მოთხოვნილი დოკუმენტაცია;
- სააგენტო ფარავს საგამოფენო სივრცის, სტენდის მოწყობისა და მონაწილე კომპანიის პროდუქციის საგამოფენო ნიმუშების ტრანსპორტირების ხარჯებს, ხოლო სხვა ხარჯები თავად კომპანიამ უნდა დაფაროს.

დეტალური ინფორმაცია დაგეგმილი გამოფენებისა და მასში მონაწილეობის პირობებთან დაკავშირებით ხელმისაწვდომია სოფლის განვითარების სააგენტოს ვებგვერდზე: <https://rda.gov.ge/articles/exhibitions>



**იცოდა,
რატომ
არის
საქართველოს
ტყე
უნიკალური**

საქართველოს ტყეები

განსაკუთრებული ფასეულობის მქონე
ბუნებრივი რესურსია, რომელიც ჩვენი
ქვეყნის მთლიან ტერიტორიის 44,5%-ს,
3 096 700 ჰექტარს მოიცავს

ტყე არა მხოლოდ უნიკალური ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებას
განაპირობებს, არამედ უზრუნველყოფს ქვეყნის მოსახლეობისთვის
სასიცოცხლო მნიშვნელობის ეკოსისტემური სერვისებით უზრუნველყოფას,
რაც თავის მხრივ, უზრუნველყოფს ეკონომიკის სხვადასხვა დარგის
ფუნქციონირებას, ადამიანების კეთილდღეობას, სიღარიბის აღმოფხვრას
და ქვეყნის მდგრადი განვითარებისათვის ხელსაყრელი გარემოს შექმნას

**„იცოდა, რატომ არის საქართველოს ტყე უნიკალური“
რუბრიკის ფარგლებში, ამჯერად გაგაცნობთ
საქართველოს ტყის მარცვლირებად სერვისებს**

ჯანსაღი და უსაფრთხო სასიცოცხლო გარემოს ჩამოყალიბებაში
ყველაზე მნიშვნელოვან როლს ტყე ასრულებს. ტყე, რომელიც
განსაზღვრავს წყლის ხარისხს და არბილებს ბუნებრივი
კატასტროფების საფრთხეს, ხელს უშლის ეროზიას, მეწყერების,
ზვავებისა და ღვარცოფების განვითარებას. ტყის ერთ-ერთი მთავარი
მისია ჰაერის გაწმენდა და ჟანგბადის წარმოებაა. მცენარეები
ფოტოსინთეზის დროს შთანთქავენ ნახშირორჟანგს და გამოყოფენ
ჟანგბადს, რაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ცოცხალი
ორგანიზმისთვის. ტყის კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი ფუნქცია,
ნიადაგის დაცვა და ეროზიის პრევენციაა. ტყის საფარი ხელს უშლის
ნიადაგის ჩამორეცხვას და დაშლას. ფესვები ამაგრებენ ნიადაგს და
ხელს უწყობენ მისი ნაყოფიერების შენარჩუნებას. ტყე მნიშვნელოვან
როლს ასრულებს წყლის ცირკულაციაშიც. ხეების ფოთლები და
ნიადაგი შთანთქავენ ტენიანობას და ხელს უშლიან ზედაპირული
წყლის სწრაფ აორთქლებას. ეს პროცესი კი აძლიერებს მიწისქვეშა
წყლების მარაგს და ხელს უწყობს მდინარეებისა და ტბების
სტაბილურობას. ტყეები ამცირებენ ძლიერ ქარებს და ხელს უწყობენ
ხმაურის შემცირებასაც. ტყის ეს ეკოლოგიური ფუნქციები კიდევ
ერთხელ უსვამს ხაზს, მის შეუცვლელ როლს ბუნებრივი გარემოს
სტაბილურობაში, რაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ადამიანების
ჯანმრთელობასა და კეთილდღეობაში.

ინფორმაციის წყარო: ეროვნული სატყეო სააგენტო

პლასტმასის კვადრი გარემოზე

**უხილავი საფრთხე,
რომელიც იზრდება**



პლასტმასი თანამედროვე სამყაროს განუყოფელი ნაწილია, თუმცა მისი მასშტაბური გამოყენება გარემოსთვის ერთ-ერთ ყველაზე სერიოზულ გამოწვევად იქცა. მისი მთავარი პრობლემა სწორედ ის თვისებებია, რაც მას „პოპულარულს“ ხდის, გამძლეობა და ხანგრძლივი დაშლის უნარი. პლასტმასა ბუნებაში ასეულობით წელი რჩება, გროვდება ნიადაგში, მდინარეებსა და ზღვებში და არღვევს ეკოსისტემების ბუნებრივ ბალანსს

განსაკუთრებით საგანგაშოა მიკროპლასტმასის გავრცელება

მცირე ზომის ნაწილაკები, რომლებიც წარმოიქმნება პლასტმასის დაშლისას ან ყოველდღიური მოხმარების პროდუქტებიდან. ეს ნაწილაკები უკვე აღმოჩენილია წყალში, ნიადაგში და ჰაერშიც კი. შედეგად, ისინი მარტივად ხვდებიან საკვებ ჯაჭვში და ზიანს აყენებენ როგორც ცოცხალ ორგანიზმებს, ისე მთლიან ეკოსისტემებს.

პლასტმასით დაზინძურება პირდაპირ გავლენას ახდენს პირობაზედაროვნებაზე

ზღვისა და მტკნარი წყლის ორგანიზმები ხშირად იღუპებიან პლასტმასის ნარჩენების გადაყლაპვის ან მათში გახვევის გამო. ამასთან, პლასტმასი ამცირებს ნიადაგის ნაყოფიერებას და აზიანებს სანიტარულ სისტემებს, რაც საბოლოოდ გარემოს დეგრადაციას იწვევს.

პლასტმასის ზემოქმედების შემცირება შესაძლებელია ყოველდღიური არჩევანებით, ერთჯერადი პროდუქციის შემცირებით, გადამუშავების მხარდაჭერით და ეკომეგობრული ალტერნატივების გამოყენებით. მხოლოდ ამ გზით შევძლებთ გარემოს დაცვას და მდგრადი მომავლის შექმნას.



ნე ითავზავებ აკრძალული საშუალებებით! ნე გახდები ბრაკონიერი!



რა შემთხვევაში ითვლება თევზჭერა უკანონოდ და როგორია ჯარიმები

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტული მიმართულება ბუნებრივი რესურსების დაცვა და ბრაკონიერობის წინააღმდეგ ბრძოლაა. უკანონო თევზჭერის ფაქტების აღკვეთის, გამოვლენისა და პრევენციის მიზნით, დეპარტამენტის თანამშრომლები ქვეყნის მასშტაბით უწყვეტ, 24-საათიან კონტროლს ახორციელებენ და ცხელ საზღვ (153) შემოსულ შეტყობინებებზეც მყისიერ რეაგირებას ახდენენ. პარალელურად, დიდი ყურადღება ექცევა სოციალურ ქსელში გავრცელებულ ინფორმაციასაც, რომლებზე დაყრდნობითაც, არაერთი სამართალდარღვევა გამოვლინდა. ბოლო წლებში, აქტიურად მიმდინარეობს დეპარტამენტის გაძლიერებისა და თანამშრომლების შესაბამისი აღჭურვილობით, მათ შორის წყლის სატრანსპორტო საშუალებებით უზრუნველყოფის პროცესი. ბრაკონიერობის წინააღმდეგ ბრძოლაშიც აქტიურად გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები - დრონები, ფოტოსაფანგები, ლამის ხედვის ბინოკლები, რომელთა საშუალებითაც

არაერთი ფაქტის აღკვეთა და გამოვლენა მოხდა. პარალელურად, პერიოდულად ტარდება პრევენციული ღონისძიებები, განსაკუთრებით ისეთი მდინარეებსა და წყალსაცავებზე, სადაც ბრაკონიერობის ფაქტები ხშირია. დეპარტამენტი მოქალაქეებს მოუწოდებს, ითევზაონ კანონის ფარგლებში და თევზჭერისას არ გამოიყენონ აკრძალული საშუალებები, განსაკუთრებით ელექტრომოკური მოწყობილობა - ელექტროიარაღი, რომელიც მავნე ზემოქმედებას ახდენს არა მხოლოდ თევზზე, არამედ ყველა ცოცხალ ორგანიზმზე წყლის ეკოსისტემაში. გარდა ამისა, ის საფრთხეს წარმოადგენს ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვისაც. სწორედ ამიტომ, ელექტროიარაღით უკანონო თევზჭერა პირველივე ჯერზე სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას გულისხმობს. ამასთან, ელექტროიარაღის, როგორც ბრაკონიერული იარაღის მიმართ, დაწესდა უპრეცედენტოდ მკაცრი მოთხოვნები: დასაჯადია მისი დამზადება, შექმნა, შენახვა, ტარება, გადატანა, გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასაღებაც.

თევზჭერის აკრძალული იარაღები, საშუალებები და ხერხები

თევზაობის მოყვარულებმა უნდა გაითვალისწინონ, რომ მთელი წლის განმავლობაში ნებადართულია მხოლოდ სპორტულ-სამოყვარულო თევზჭერა ანკესით.

აკრძალულია თევზჭერა ელექტროსადგურების მიმდებარე და გასაჯალ არხებში, კაშხლებთან და რაბებთან არაუახლოეს 500 მეტრისა, კაშხლებთან არსებულ თევზგამტარ არხებში და სხვა.

აკრძალულია თევზჭერა ისეთი საშუალებებით, როგორიცაა ელექტროდენი, ელექტროიარაღი, ცეცხლსასროლი იარაღი, სახლართი ბადე, ე.წ. ეკრანბადე, მოსასმელი ბადე, სხვა არასპორტულ-სამოყვარულო თევზჭერის ბადე-იარაღები, ნებისმიერი სახის ფეთქებადი ან მომწამლავი ნივთიერებები. ასევე, იკრძალება თევზჭერა შიდა წყალსატევებში დევნისა და ფრთხობის ხერხებით, წყალსატევების ხერხგითა და შრეით.

როგორ არაგულრიშებს კანონმდებლობა თევზჭერის წესების დარღვევასა და უკანონო თევზჭერას

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის თანახმად, სამოყვარულო და სპორტული თევზჭერის იარაღისა და ხერხების გამოყენებით თევზჭერისა და თევზის მარაგის დაცვის წესების დარღვევაზე ჯარიმა 120 ლარია და სამართალდამრღვევს მოპოვებული თევზიც ჩამოერთმევა. გარდა ამისა, მასვე დაეკისრება მოპოვებული თევზის მიხედვით, გარემოსთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულება. იგივე ქმედების განმეორებით ჩადენის შემთხვევაში, ბრაკონიერს 300-ლარიანი ჯარიმის გადახდა მოუწევს; წყალსატევში თევზსაჭერი იარაღის ჩაგების და თევზის მოსაშენებელი კონსტრუქციის განთავსების წესის დარღვევაზე ჯარიმა 150 ლარია, სახდელის დადებიდან 1 წლის განმავლობაში განმეორების შემთხვევაში - 300 ლარი; თევზჭერის სპეციალური მოთხოვნების დარღვევაზე სამართალდამრღვევს ჯარიმის სახით 500 ლარის გადახდა მოუწევს, 1 წლის განმავლობაში განმეორების შემთხვევაში კი - 1000 ლარის; „წითელ ნუსხაში“ შეტანილი თევზის ან წყლის სხვა ცოცხალი ორგანიზმის უკანონოდ მოპოვებაზე კი 3000-ლარიანი ჯარიმა მოქმედებს და ამასთან, კანონით, მოპოვებული თევზის ან ცოცხალი ორგანიზმის, სამართალდარღვევის იარაღისა და სატრანსპორტო საშუალების კონფისკაცია ან გათვალისწინებული.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის თანახმად, დასაჯადია ელექტროიარაღის დამზადება, შექმნა, შენახვა, ტარება, გადატანა, გადაზიდვა,

გადაგზავნა ან გასაღებაც, რაზეც ჯარიმა 1000-დან 6000 ლარამდე მერყეობს. ისეთი საშუალებებით თევზჭერა კი, როგორიცაა ელექტროდენი, თევზჭერის ელექტროიარაღი, ასაფეთქებელი ან მომწამლავი ნივთიერებები, თევზის ან წყლის სხვა ცოცხალი ორგანიზმის მასობრივი განადგურების სხვა საშუალებები, რიგ შემთხვევაში, კანონით დაუშვებელ ადგილას - სახლართი ბადეები, სისხლის სამართლის დანაშაულად კვალიფიცირდება.

ამ საშუალებების გამოყენებით უკანონო თევზჭერა, სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად, ისჯება საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით, 320-დან 400 საათამდე ან/და 2-დან 4 წლამდე თავისუფლების აღკვეთით.

საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილი თევზის ან წყლის სხვა ცოცხალი ორგანიზმის უკანონოდ მოპოვება კი, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, ისჯება საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომით ვადით 120-დან 250 საათამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით 2 წლამდე.

დეპარტამენტი მოქალაქეებს მოუწოდებს უარი თქვან ბრაკონიერობაზე და ითევზაონ კანონის დაცვით, სამართალდარღვევის დაფიქსირების შემთხვევაში კი დარეკონ ცხელ საზღვ - 153 (ზარი უფასოა, ანონიმურობა - დაცული), რათა შესაბამისი რეგიონული სამმართველოს თანამშრომროლებმა მყისიერი და სათანადო რეაგირება მოახდინონ.



საქართველოს დაცული ტერიტორიების უნიკალური ბიომრავალფეროვნება

საქართველოს ბიომრავალფეროვნების ერთ-ერთი გამორჩეული წარმომადგენელი

ქურციკი, იგივე ჯეირანი (Gazella subgutturosa)

საქართველოს ბიომრავალფეროვნების ერთ-ერთი გამორჩეული წარმომადგენელი - ქურციკი, იგივე ჯეირანი (*Gazella subgutturosa*).

ეს ულამაზესი სახეობა, რომელიც 1960-იან წლებამდე აღმოსავლეთ საქართველოს სტეპურ ეკოსისტემებში მასიურად იყო გავრცელებული, ურბანიზაციისა და ბრაკონიერობის შედეგად ქვეყანაში სრულად გადაშენდა

დღეს ქურციკი საქართველოში დაბრუნებულია.

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, დაცული ტერიტორიების სააგენტოსა და ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის (WWF) ერთობლივი პროექტი, რომელიც ისტორიულ ჰაბიტატში ქურციკის პოპულაციის აღდგენას გულისხმობს, წარმატებით ხორციელდება.

პროექტი 2013 წელს შირვანის ეროვნული პარკიდან ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიებზე 10 ინდივიდის ტრანსლოკაციით დაიწყო. ეს პროცესი დღემდე გრძელდება და ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის (WWF) მიერ სამუხის ველზე ყოველწლიურად სხვადასხვა რაოდენობის ინდივიდების ტრანსლოკაცია ხორციელდება. დღეისათვის:

- სამუხის ველზე ქურციკების მეთერთმეტე თაობა დაიბადა;
- პოპულაციამ 500 ინდივიდს გადააჭარბა;
- სისტემატურად მიმდინარეობს პოპულაციის მონიტორინგი;
- ქურციკის პოპულაციის დაცვის მიზნით 2023 წელს სამუხის ველზე შეიქმნა დაცული ტერიტორია;
- პოპულაციის რიცხოვნობის ზრდის პარალელურად ქურციკებმა დაიწყეს საპროექტო ტერიტორიიდან ისტორიულ ჰაბიტატში ბუნებრივი გავრცელება.

ქურციკის აღდგენა საქართველოს გარემოსდაცვითი პოლიტიკის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტად რჩება. ივრის ზეგანის ეკოსის-

ტემების სრულფასოვანი გაჯანსაღება ამ სახეობის გარეშე პრაქტიკულად შეუძლებელია.

პროექტი ხორციელდება საქართველოს მთავრობისა და WWF-ის ინიციატივით, გერმანიის მთავრობის (KfW) ფინანსური მხარდაჭერითა და აზერბაიჯანის მთავრობის აქტიური ჩართულობით.

საინტერესო ფაქტები ქურციკზე:

- ქურციკი სტეპისა და ნახევრადუდაბნოს ტიპური ბინადარია;
- გამორჩევა განსაკუთრებული სისწრაფითა და გამძლეობით;
- მამრებს აქვთ რკალისებურად მოხრილი რქები;
- ქურციკი ეკოსისტემაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს - იგი სტეპური ბიომრავალფეროვნების ერთ-ერთი საკვანძო სახეობაა.

ქურციკის დაბრუნება საქართველოში გადაშენებული სახეობის პირველი და ჯერჯერობით ერთადერთი შემთხვევა და იმის ნათელი მაგალითია თუ როგორ შეიძლება გადაშენებული სახეობის ისტორიულ გარემოში დაბრუნება სახელმწიფოს, საერთაშორისო პარტნიორებისა და მეცნიერების ერთობლივი ძალისხმევით.



**რვენი ქვეყნის
ტერიტორიაზე
ფართოდაა
ნარეოდებული
ფრინველების როგორც
ენდემური, ისე სხვა
ქვეყნებისათვის
დაახასიათებელი
სახეობები. გაგაცნობთ
საქართველოს ფაუნის 4
ნარეოდებულს**



ბიომრავალფეროვნება

კავკასიური როჭო



კავკასიური როჭო (*Lyrurus mlokosiewiczii*, *Tetrao mlokosiewiczii*) – ფრინველი როჭოსებრთა ოჯახისა. აღმოჩენილია ლაგოდეხის ნაკრძალის ტერიტორიაზე 1875 წელს პოლონელი ბუნებისმეტყველის ლუდვიკ მლოკოსიევიჩის მიერ. გავრცელებულია მთავარი კავკასიონის

ქედსა და მცირე კავკასიონის ალპურ ველებზე ზღვის დონიდან 1500–3000 მ-მდე. ზამთარში ტყეს აფარებს თავს. მამალი კავკასიური როჭო შავია, კიდურა საჭის ბუმბული ქვემოთ აქვს მოხრილი. დედალი ჭრელია. ბუდეს მიწაზე იკეთებს. დებს 2-10 კვერცხს. იკვებება თესლით, კენკრით, ხილით, ნორჩი ყლორტებითა და ფოთლებით, ჭიებით, ლოკოკინებით. კავკასიური როჭო ჩვენი ფაუნის ძვირფასი წარმომადგენელია და მას ყველგან იცავენ. შეტანილია საქართველოს „წითელ წიგნში“ და ლაგოდეხში 700-მდე ინდივიდი ბინადრობს.

კავკასიური შურთხი



კავკასიური შურთხი (*Tetrao gallus caucasicus*) – ფრინველი ქათმისნაირთა რიგისა. მისი სხეულის სიგრძეა 50 სმ, წონა – 2 კგ. ფერად რუხია, წვრილი შავი და წითური ზოლები და კოპლები აქვს. გავრცელებულია კავკასიონის

მთავარ ქედსა და მის განშტოებებზე ზღვის დონიდან 1800–4000 მეტრზე. მობინადრეა. კავკასიური შურთხი ბუდეს მიწაზე იკეთებს – ქვებში ან კლდეებში. დებს 8–10 მორუხო კვერცხს. კრუხობს 3 კვირას. იკვებება მცენარის თესლით, კვირტებით, ყლორტებით, კენკრით, ტუბერებით, აგრეთვე მწერებით. ზამთარში იკვებება ჯიხვების საბალახოზე (ჯიხვი ფლოქვებით აფხვიერებს თოვლს და უადვილებს შურთხის საკვების მოპოვებას. შურთხი კი უფრო ფრთხილია და ჯიხვებს საფრთხეს ატყობინებს).

დასავლეთ კავკასიური ჯიხვი



დასავლეთ კავკასიური ჯიხვი (*Capra caucasica*) – წარმომადგენს კავკასიის ენდემურ სახეობას. ძირითადად გავრცელებულია კავკასიაში. დღეისათვის ცნობილია მისი ორი სახეობა ეს არის დასავლეთკავკასიური ჯიხვი და აღმოსავლეთკავკასიური ჯიხვი. ისინი მიეკუთვნებიან წვრილჩლიქოსნების რიგს. დასავლეთ კავკასიური ჯიხვი მხოლოდ კავკასიონის დასავლეთ ნაწილშია გავრცელებული, მისი არეალი კი მოიცავს მთა ჩუგუმიდან მდინარე ბაქსანის სათავემდე ტერიტორიას. თუმცა გასულ საუკუნეში, ყოფილა შემთხვევები, როცა დასავლეთ კავკასიური ჯიხვი ამ არეალის გარეთაც კი გვხვდებოდა, მაგალითად ბალყარეთის ჩერეკის სათავეებამდე. დასავლეთ კავკასიური ჯიხვი, ძირითადად გვხვდება სუბალპურ და ალპურ მდელოებზე დაახლოებით 800-დან 4000 მეტრამდე ტერიტორიაზე ზღვის დონიდან. ძირითადად სტუმრობს ტყით დაფარულ ფერდობებს, კლდეების მახლობლად. ინდივიდების გამრავლების პერიოდი იწყება ნოემბრის შუა რიცხვებიდან და იანვრის ბოლომდე გრძელდება. ამ დროს წარმოიქმნება მდედრებისა და მამრების შერეული ჯგუფები. მამრი სქესმწიფობას 5 წლის ასაკში აღწევს, ხოლო მდედრი 2 წლის ასაკში. მავკობა 150-160 დღე გრძელდება. მის ძირითად საკვებს სუბალპური და ალპური ბალახეულობა წარმოადგენს, თუმცა ასევე იკვებება ხის ფოთლებით, ხის ქერქითა და წიწვებით. საინტერესოა ის ფაქტიც, რომ დასავლეთ კავკასიური ჯიხვი ძლიერ ეტანება მლაშე წყლებს და ხელოვნურ სამარილებს.

ჩხიკვი



ჩხიკვი (ლათ. *Carrulus glandarius*) – ფრინველი ბელურასნაირთა რიგისა. ფერად მინითალო-რუხია, ბოლო და „ულვაშები“ შავი აქვს. ქოჩორი – შვალაქებიანი, წელი – თეთრი, ფრთაზე – ლამაზი, შავფხაქებიანი ცისფერი ლაქა. მისი სხეულის სიგრძე - 34 სმ, მასა 160 გრამს აღწევს. გავრცელებულია ევროპაში, აზიასა და ჩრდილო-დასავლეთ აფრიკაში, ბინადრობს შერეულ და ფოთლოვან ტყეებში. საქართველოში მობინადრეა. დებს 4-7 (10-მდე) კვერცხს. იკვებება თესლებით, კენკრით, ხილით, რკოთი და მწერებით, რომელთა განადგურებით ერთგვარი სარგებლობა მოაქვს. საკმაოდ კარგად ბაძავს სხვადასხვა ბგერებს.